

მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/ მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დაგეგმვა მეხუთე ტალღა

კვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2020 წლის ბოლოს დაიწყო ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში კვლევა. კვლევა ხორციელდება გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა მიმდინარეობს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე.

კვლევის მიდგომა ემყარება 1 წლის განმავლობაში ერთსა და იმავე რესპონდენტებისაგან განმეორებით ინფორმაციის შეგროვებას (პანელური კვლევა).

კვლევის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით კვლევის მეხუთე ტალღისთვის შერჩევის ზომა განსაზღვრულია 1,996 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 963 ერთეულით, ხოლო სოფლად 1,033 ერთეულით. მონაცემების შეგროვება ხორციელდება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით (CATI).

კვლევის მეხუთე ტალღის სავსე სამუშაოები ჩატარდა 2021 წლის ოქტომბერში. გამოკასუების დონემ შეადგინა 81.3 პროცენტი, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში - 80.8 პროცენტი, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 81.8 პროცენტი.

კვლევის მეხუთე ტალღის საკვანძო გზავნილები

1. ინტერნეტთან წვდომა

- შინამეურნეობების 15.7% არ აქვს ინტერნეტთან წვდომა საცხოვრისში. ასეთი შინამეურნეობების წილი სოფლად ორჯერ აღემატება ქალაქის მაჩვენებელს, 23.6% და 10.1% შესაბამისად. ქვეყნის დონეზე აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის მარტთან შედარებით არ შეცვლილა.

2. შინამეურნეობების შემოსავლები

- შინამეურნეობების 5.8 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით 2021 წლის ივლისიდან 2021 წლის ოქტომბრამდე პერიოდში;
- 2021 წლის ივლისიდან 2021 წლის ოქტომბრამდე პერიოდში შინამეურნეობების 16.1 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავალი. ამასთან, შინამეურნეობების 13.6 პროცენტს შემოსავალი შეუმცირდა 50%-ზე მეტით;

- შემოსავლის შემცირების მთავარ მიზეზს წარმოადგენს COVID-19-ი და მასთან დაკავშირებული ძირითადი გარემოება, როგორცაა კომპანიას/ბიზნესს, რომელშიც მუშაობდა ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს, შეუმცირდა მოთხოვნა (44.6%);
- შემოსავლების შემცირებასთან გამკლავების მიზნით შინამეურნეობები ყველაზე ხშირად მიმართავდნენ კვების გარდა სხვა საოჯახო ხარჯების შემცირებას (77.1%), კვებაზე ხარჯების შემცირებას (49.7%), ფულის სესხებას მეგობრებისა და ნაცნობებისგან (42.3%) და დანაზოგების გამოყენებას (41.9%);
- კითხვაზე რამდენად ნუხხართ თქვენი შინამეურნეობის მომდევნო თვის ფინანსურ მდგომარეობაზე, რესპონდენტების 37.9%-მა განაცხადა, რომ ძალიან შეწუხებულია, 37.9% - ზომიერად შეწუხებულია, 17.3% - მეტ-ნაკლებად შეწუხებულია, 4.0% - უმნიშვნელოდ შეწუხებულია, ხოლო 2.8% - საერთოდ არ არის შეწუხებული.

3. COVID-19

- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში რესპონდენტების 25.0% ყოველთვის ახერხებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას, 33.6% - ხშირად, 15.6% - ხანდახან, 14.4% - იშვიათად, ხოლო 11.4% საერთოდ ვერ ახერხებდა;
- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში, რესპონდენტთა 18.5% ყოველთვის ახერხებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას ხალხისგან დისტანციის დაცვას, 44.6% - ხშირად, 20.6% - ხანდახან, 12.7% - იშვიათად, ხოლო 3.5% საერთოდ ვერ ახერხებდა;
- გამოკითხვის წინა 7 დღის განმავლობაში რესპონდენტების, რომლებიც იმყოფებოდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, 86.1% ყოველთვის ატარებდა პირბადეს, 11.6% - ხშირად, 1.5% - ხანდახან, ხოლო 0.7% - იშვიათად ატარებდა;
- კითხვაზე COVID-19-თან დაკავშირებული რა ინფორმაციის ცოდნა სურთ ამჟამად, რესპონდენტების 17.5 პროცენტმა განაცხადა, რომ სჭირდებათ ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების შესახებ, 13.1 პროცენტს სჭირდება ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ, ხოლო 67.9 პროცენტს არ სჭირდება COVID-19-თან დაკავშირებული რაიმე სახის ინფორმაცია;
- კითხვაზე რამდენად ნუხხართ იმაზე, რომ თქვენ ან თქვენი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს, რესპონდენტების 46.6%-მა განაცხადა, რომ ძალიან შეწუხებულია, 36.3% - ზომიერად შეწუხებულია, 9.2% - მეტ-ნაკლებად შეწუხებულია, 3.3% - უმნიშვნელოდ შეწუხებულია, ხოლო 3.0% - საერთოდ არ არის შეწუხებული;
- რესპონდენტთა პროცენტული წილი, ვინც გაიკეთა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის ერთი დოზა მაინც და ჰქონდა გვერდითი მოვლენები, შეადგენს 37.2%. ამთგან, ყველაზე ხშირად დასახელდა შემდეგი გვერდითი მოვლენები, დაქანცვა/დაღლილობა (38.6%), ლოკალური ტკივილი (33.0%), სიცხე (30.2%) და სახსრების ტკივილი (27.9%);
- კითხვაზე გაიკეთებდნენ თუ არა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას (ვისაც არ ჰქონდათ გაკეთებული ვაქცინის არც-ერთი დოზა), რესპონდენტთა 4.1%-მა უპასუხა - ძალიან მოსალოდნელია, 23.0%-მა - მოსალოდნელია, 33.8%-მა - არ გადამინყვეტია, 17.3%-მა - ნაკლებად მოსალოდნელია, ხოლო 21.5%-მა - თითქმის გამორიცხულია. ჯამში მათმა წილმა ვისაც არ გადაუწყვეტია, ნაკლებად მოსალოდნელია ან თითქმის გამორიცხულია, რომ გაიკეთოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა შეადგინა 72.7%, შედარებისთვის ეს მაჩვენებელი 2021 წლის აგვისტოში შეადგენდა 55.4%;
- მათგან ვისაც არ გადაუწყვეტია, ნაკლებად მოსალოდნელია ან თითქმის გამორიცხულია, რომ გაიკეთოს COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა, ყველაზე ხშირად ასახელებს შემდეგ მიზეზებს, როგორცაა, ვაქცინის გვერდითი მოვლენები - 36.8%, ვაქცინა ძალიან ახალია, სწრაფად შეიქმნა და საკმარისად არ არის გამოცდილი - 35.8%, ჯანმრთელობის არსებული პრობლემები - 32.1%, ვაქცინა იწვევს სიკვდილს ან უნაყოფობას - 12.4% და ალერგია ზოგიერთ მედიკამენტზე - 8.6%;
- რესპონდენტების 18.6%-მა განაცხადა, რომ სჭირდებათ მეტი ინფორმაცია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შესახებ (2021 წლის აგვისტოში, რესპონდენტების 27.1%-მა განაცხადა იგივე). ამასთან, მათ ვისაც სჭირდებათ, ყველაზე მეტად აინტერესებთ რამდენად უსაფრთხოა (69.7%), რამდენად ეფექტურია (62.4%) და გვერდითი მოვლენები (46.2%).

4. ბავშვების განათლება

- 2-4 წლის ბავშვების მხოლოდ 55.5% და 2-5 წლის ბავშვების მხოლოდ 59.1% დადიოდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული;
- 2021 წლის ოქტომბერში 2-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ 4 ან მეტ აქტივობაში¹ შეადგინდა 89.9% (97.8%, 2021 წლის მარტში). იმავე პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი 2-5 წლის ბავშვებისთვის შეადგინა 91.9% (97.8%, 2021 წლის მარტში);
- 2021 წლის ოქტომბერში, 6-17 წლის ასაკის ბავშვების 74.1% ესწრებოდა სასწავლო პროცესს მხოლოდ საკლასო ოთახებში, 13.6% - მხოლოდ დისტანციურად, 11.0% - კომბინირებულად, ხოლო 1.3% საერთოდ არ ესწრებოდა სასწავლო პროცესს. აღნიშნული მაჩვენებელი დათვლილია იმ 6-17 წლის ასაკის ბავშვებიდან, რომლებიც დადიოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო ან სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს დისტანციურად 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული;
- 7-17 წლის ასაკის ბავშვების, რომლებიც ესწრებოდნენ რაიმე სახით საგანმანათლებლო პროცესს 2021-2022 სასწავლო წლიდან მოყოლებული, პროცენტული წილი, რომელთა შესახებ შინამეურნეობის ზრდასრულმა წევრმა საგანმანათლებლო დაწესებულებისგან მიიღო ინფორმაცია აკადემიური მოსწრების შესახებ 2020-2021 წლის მეორე სემესტრის ბოლოს შეადგინა 89.3%;
- რესპონდენტების, რომელთა შინამეურნეობის 6-17 წლის ასაკის ბავშვი ესწრებოდა რაიმე სახით საგანმანათლებლო პროცესს სკოლაში 2021-2022 სასწავლო წლიდან მოყოლებული, 96.4% თვლის, რომ ბავშვებისთვის სასურველი სწავლების ფორმა არის სასწავლო ოთახში სწავლება, 1.3% ასეთად თვლის დისტანციურ სწავლებას, ხოლო 2.0% - კომბინირებულ სწავლებას.

5. ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე

- შინამეურნეობების პროცენტულმა წილმა, რომლის ერთმა წევრმა მაინც ვერ მიიღო სამედიცინო მომსახურება გამოკითხვის წინა 2 კვირის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სჭირდებოდა, შეადგინა 11.3%;
- შინამეურნეობების პროცენტულმა წილმა, რომლის ერთმა წევრმა მაინც ვერ შეძლო საჭირო მედიკამენტების მიღება, რადგან არ ჰქონდა ყიდვის შესაძლებლობა (მაღალი ფასის გამო) გამოკითხვის წინა 2 კვირის განმავლობაში, შეადგინა 35.2%.

1 ილუსტრირებული წიგნების წაკითხვა ან დათვალიერება; ზღაპრების მოყოლა; სიმღერა, მათ შორის ძილის წინ; გარეთ სასეირნოდ გაყვანა; თამაში; ნივთების დასახელება, დათვლა ან ხატვა.